ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N01-38/75

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(CPV 71320000)

ქალაქი ბათუმი

13 აპრილი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი უფროსის თემურ ყურშუბაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „აჭარასპეცპროექტი", წარმოდგენილი დირექტორი ჯემალ გოგიტიძის სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი") დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ტექნიკური დავალება" – შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული „ტექნიკური დავალება", რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მეტყევის სახლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარს (დანართი N2 - ფასების ცხრილი) .

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ

მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხიმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში.

4.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ.ბათუმი, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო.

4.3. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელი სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი თამაზ ვარშანიძე.

4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.6. თუ მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.7. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული მომსახურების რაოდენობა და წუნდების მიზეზი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელის მიერ გაწეული მომსახურება იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

6.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.

6.3. 6.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
6.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და შედგენაზე.
6.5. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების დროს საჭირო გახდება მშენებლობის პროექტში ცვლილებების შეტანა ან/და აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანაზღაურების გარეშე შედგენას/შედგენის ხარჯების ანაზღაურებას პროექტანტი იღებს თავის თავზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

9.4. 9.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.2. მშენებლობა განხორციელების დროს იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების წარმოების პროცესში აუცილებელი გახდება საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა ან/და გაჩნდება პროექტთან (მის განხორციელებასთან) დაკავშირებით კითხვა პროექტის ავტორი/მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 7 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დასმულ (პრობლემურ) საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით წარმოადგინოს საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესატანი ცვლილებების გათვალისიწნებით. აღნიშნულს მიმწოდებელი/პროექტის ავტორი განახორციელებს რაიმე დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე.

13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

<u>მიმწოდებელი</u>	<u>შემსყიდველი</u>
შპს „აჭარსპეცპროექტი“	სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
ს/კ **245427364**	მის: ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. 124
მის: ქ. ბათუმი ზ. გამსახურდიას ქ. **N19/21**	მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ანგარიშის N 740397499
ცენტრალური ფილიალი	მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ: **BAGAGE22**	ბანკის კოდი TRESGE22
ანგარიში: **GE90BG0000000285162700**	ს/კ 245631428
MAIL:jemal.gogitize@gmail.com	
დირექტორი	სააგენტოს უფროსი
ჯემალ გოგიტიძე	თემურ ყურშუბაძე

დანართი 1

2016 წლის 13 აპრილის N01-38/75 ხელშეკრულებაზე

1. საპროექტო დავალება

მეტყევეს სახლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ზოგადი განსაზღვრებები

საპროექტო დოკუმენტაციიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი გამოცდილებები, ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენება, ობიექტის ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები. ხარჯთაღრიცხვების შედგენისას საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება უნდა განისაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებითა და ღირებულებებით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების დროს საჭირო გახდება მშენებლობის პროექტში ცვლილებების შეტანა ან/და აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ანაზღაურების გარეშე შედგენას/შედგენის ხარჯების ანაზღაურებას პროექტანტი იღებს თავის თავზე.

ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში.

საჭირო შემთხვევებში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საპროექტო დავალებაში – გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა.

პროექტირების პროცესში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

მიმწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს შემსყიდველსა და შემდგომში სამუშაოს შემსრულებელთან, საპროექტო ზედამხედველობა განახორციელოს პროექტის შესრულების მიმდინარეობაზე ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსი

თემურ ყურშუბაძე

შპს „აჭარასპეცპროექტის"-ს
დირექტორი

ჯემალ გოგიტიძე

დანართი 2

2016 წლის 13 აპრილის N01-38/75 ხელშეკრულებაზე

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (ფასების ცხრილი) და ვადები

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის ღირებულება	მოწოდების ვადა
მეტყევის სახლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	800 ლარი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე
ს უ ლ		800ლარი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსი

თემურ ყურშუბაძე

შპს „აჭარასპეცპროექტის"-ს
დირექტორი

ჯემალ გოგიტიძე